

რედაქცია


ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის და ანს. სტამბაში, პატარის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ конторѣ редакціи газеты „Дროба“, при типографіи Меликова.

გაზეთის ღირსი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.



გაზეთის კვირადღით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა-ცხულებს ენებზე.

განცხადების ფასი

ლიდი ასობით, ცალკე — 1 კაპ., ასო-მთავროვლი, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცოლოთი, სტრიქონზე — 1 კაპ., და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

ღებუქველი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერები „დროებისა“ ისპილება:

- პარტანოვის წიგნის მალაზიაში (ტუკის ხილზე, მირზოვეის შენობაში)
- ბრიშუროვის წიგნის მალაზიაში (ტუკის ხილთან, ზუბალოვის სახლში)
- „სარდანახის“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში)
- „სულთანის“ თამბაქოს მალაზიაში (სულის ქვეშ)
- პარიკმახერ პირატან (პროსპექტზე)
- პარიკმახერ ბრამბარტან (სალოლაქში)
- ბრიშოლოვის მალაზიაში („პაგაზის“ სასტუმროს ქვეშ, მირზოვეის სახლებში)

ზანი თითო ნომრისა — 5 კაპიკი

ხელის-მოწერა ამ 1877 წლის

„დროება“

მიიღება გაზეთის რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ანს. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ნაპ. ამატუნის სახლებში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисѣ. Въ редакціи газеты „Дროба“

ზანი	მთელი წლის	გაზეთისა	მან.	კაპ.
მთელი წლის	—	—	8	—
ქვესი თვისა	—	—	4	50
სამის თვისა	—	—	2	50
ერთის თვისა	—	—	1	—

ხვედრი ზანი გაზეთის დაბარებისათვის უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.

„დროების“

ტელეგრაფები

„ხალხთა-შორის ტელეგრაფის აგენტობისა“
 გენ ა, 25 იანვ. (6 თებერვ.).
 აქ მოვიდა ლენინგრადი იგნატევი.
 ლონ დონი, 25 იანვ.
 (6 თებერვ.). დიხლომატიური
 მიწერ - მოწერა აღმოსავლეთის
 კითხვის თაობაზე წარდგენილი
 იქნება პარლამენტში.
 მომეტებული ნაწილი ინგლი-

ნის გაზეთებისა ჭფიქრობს, რომ
 მიტქადაშის დაცემა დიდს ცუ-
 ლილებას მოახდენს ოსმალეთის
 შინაგანსა და გარეგანს პოლი-
 ტიკაში. გაზეთის „სტანდარის“
 ჭასრით, მიტქადაშის დაცე-
 მით უველსე უფრო რუსეთი
 ისარკებლებს. გაზეთს „ტაიმსს“
 იმედი აქვს, რომ მიტქადაშის
 დაცემა ოსმალეთში ფანატისმს
 არ აღძრავს.

მიტქადაშის დაცემა

ბუშინდელმა ტელეგრაფმა გასა-
 კვირველი დასრულიად მოულოდნე-
 ლი ამბავი მოგვითხრო: მიტქადაშა-
 შა, ოსმალეთის მთავარი გენერალი,
 კაცი, რომელსაც ამ უკანასკნელ
 დროს ოსმალეთის ბედი და უბე-
 დობა ეკირა ხელში, რომელიც უძ-
 ლიერეს, უტყვიანეს და ყოველად-
 ძღვებელ კაცად ითვლებოდა, რომ-
 მელსაც, როგორც ერთს დროს ნა-
 პოლენს, ისე შესწერებოდნენ წარ-
 ბებში, რომ შეეცოთ—თუ როგორ
 გუნებავდ ბრძანდებოდა, რომელზე-
 დაც დამოკიდებული იყო ომიანო-
 ბის ანუ მშვიდობიანობის გადაწყვე-
 ტა,—ეს კაცი დაუტყრიათ და მიტ-
 ლენის კუნძულზე გაუგზავნათ, რად-
 გან იმისთვის ახლანდელი ხონტქრის
 აბდულ-ჰამიდის ტახტიდამ გადაგდ-
 ბის განზრახვა შეუწყალებათ.

რალა თქმა უნდა, რომ ამ გარე-
 მოვებს დიდი განვლენა ექმნება რო-
 გორც თვითონ ოსმალეთზე, აგრეთ-
 ვე მთელი მეროპის ახლანდელ მდგო-
 მარეობაზედაც.

თვით მიტქადაშის მიტქადაშისა
 აღარებდნენ, რომ ის მართლა რომ
 ძლიერ შესანიშნავი ჭკვისა, ენერგიი-
 სა და გამჭირაზე გონების კაცი იყო;
 რომ ამასთანა დახელოვნებული და
 მოხერხებული დიპლომატი და სა-
 ხელმწიფო საქმეების გამგებელი
 ორიც არ მოიპოვებოდა მეროპაში.

ზახსენეთ—რა მგომარეობაში
 იყო ოსმალეთის მმართველობა ამ
 ერთის წლის წინათ, როდესაც იმის
 სლოვაიანურიპროვინციები—ჭერცო-
 გოვინა, ბოსნია და ბოლგარია აჯან-
 ყდნენ და შემდეგ, როდესაც ჩერ-
 ნოვარია და სერბია იმას ომი გა-
 მოუტყადეს. მთელი მეროპა ამ აჯან-
 ყებულებს თანაუგრძობდა; ყველა
 დარწმუნებული იყო, რომ მოვიდა
 უკანასკნელი ჟამი „მალალი პორ-

ტის“ არსებობისა; ყველა ჰხედდა,
 რომ ოსმალეთის ფინანსური მდგომა-
 რეობა და კრედიტი დავარდნილია,
 რომ იმას არა ჰყავს ჯარი, რომ ყვე-
 ლგან მთელს სახელმწიფოში და
 იმის გამგეობაში უწყსობა და უთავ-
 ბლობა არსებობს.

ამ გვარმა მდგომარეობამ ოსმა-
 ლეთისაში ზოგიერთი პუბლიცისტები
 და პოლიტიკოსები იმდენად გაამ-
 ხნევა, რომ ოსმალეთის იმპერიის
 გაყოფაზე, განაწილებაზე დაიწყე-
 ლაპარაკი; შემოიტანეს ათასნაირს
 პროექტი—თუ როგორ უნდა გან-
 თავისუფლდნენ ოსმალეთის ქვეშე-
 რდომი ხალხები, ვის უნდა შეუერ-
 თონ ისინი და სხვ. და სხვ.

დროება შეიცვალა. მრთ მშვენი-
 ერ დილას ჩვენ შევიტყეთ, რომ სულ-
 თანი აბდულ-პისი ინგლისის ელ-
 ჩის ჰენრი მლოლიოტისა და მიტქადა-
 შის მაგრატლის შემწეობით გაე-
 მგზავრა „წილსა შინა აბრაამისათა“.

ამ დღიდან მოკიდებული მიტქადა-
 შა ფაშობს; ბატონობს მთელს
 ოსმალეთში. მთელი იმის ბრძანე-
 ბა და სიტყვა სრულდება; იმაზედ
 დამოკიდებულია ახლა—ომიანობისა
 და მშვიდობიანობის გადაწყვეტა; თი-
 თქო რომელიმე მანქანების ძალით,
 —მ.წ. — ვ.წ. — უსულს, მ.წ. — ა.წ. —
 ამაზადა, დაიარაღა ორას ათასამდი
 ჩინებული ჯარი, რომელმაც ყო-
 ველს ნაბიჯზე დაამარცხა აჯანყებუ-
 ლი სერბიელები.

მიტქადაშის გადიდ - გენერლის
 შემდეგ უეცრად გამოიცვალა მერო-
 პის ტონი და დამოკიდებულება ოს-
 მალეთთან. იეთი დიპლომატიური
 მანებები გააბა, რომ ოსმალეთს შე-
 ეძლო ახლა ხმის-ამოუღებელად აღარ
 დამორჩილებოდა ყველა ბრძანებას
 მეროპისას. სტამბოლის პარჭერენ-
 ციამ ცხადათ დაგვიანება იმის დიპ-

ფელტონი

მრალე მუჟის ანგავი

მთავად რომ იმყოფებოდა *)

(ისტორიული მოთხრობანი)

მეფე ერეკლე როდესაც იმყოფე-
 ბოდა მთავედ და თფილისიცი მცი-
 რედ დაშვიდა, მაშინ ქალაქის მე-
 ლიქ ავეტიქ ბებუთოვი, როდენიმე
 პირველი მოქალაქეების თანხლებით,
 წავიდნენ საგძალით მეფესთან და
 სთხოვეს, რომ მობძანდეს და თავის
 ქალაქს ყური უგდოს და მის მცხო-
 ვრებთ დაეპატრონოს.—მრეკლე მე-
 ფემ ჰკითხა ამათ ყოველი ვითარება
 თფილისისა; მერე დაჰპირდა, რომ
 თქვენ წადითო და მეც მალე მოვა-
 ლო. შემდეგ როდენიმე დღისა თფი-

ლისში აღარ ჩამოვიდა და წავიდა
 თფილესა. იქა ცხოვრობდა. მერე წა-
 ვიდნენ შახზ ბოროჩალოს პლატარე-
 ბი და სთხოვეს მეფესა, ჩამობძანდი-
 თო თფილისში, დაგვეპატრონეთო,
 არ ვიცით ჩვენ ეხლა ვისი ქვეშევრ-
 დომნი ვართო, ჩვენ ჩვეულსა ვარ-
 თო თფილისში მჯდომს მეფეს ვემ-
 სახუროთო, გულს ნუ გაიტეხთო,
 ჩამობძანდით ისევ თქვენი ტახტის
 ქალაქი ააშენეთო და თქვენს ხალხს
 მოუარეთო და ვგრეთვე ხიდი, რო-
 მელიც დაუწვამთ ყიზილბაშებსა, ისიც
 ააშენეთო და თუ თქვენ ღონისძიე-
 ბა არა გაქეთო, ჩვენ გვიბძანე და
 ავაშენებთ ჩვენის ხარჯითაო. მეფე
 დაჰპირდა—თქვენ წადითო და სარ-
 წმუნო იყავითო, რომ მეც მალე ჩა-
 მოვალო. როდენიმე დღის შემდეგ
 მეფე რა ჩამოვიდა თფილისში, ნახა
 ქალაქი ააშენებული, და თავისი სა-
 სახლც დაწვარი. ჩასაკვირველია
 დიდათ შეწუხდა. თვითონაც სხვა
 მოქალაქის სახლებში იღდა და ზრუ-

ნავდა, რომ ქალაქს შემწეობა მის-
 ცეს და აშენდეს. შემდგომ წელი-
 წადში, ესე იგი 1797 წელს, მეფეს
 შეესმა, რომ კიდევ ემზადება ალა-
 მაშხალ-შაჰი დიდის ლაშქრით მოვი-
 დეს და ააოხროს ქვეყანა. ამაზედ
 დიდათ შეწუხდა მრეკლე და არ იცო-
 და თუ რა განკარგულება მოახდი-
 ნოს, რომ დაიცვას თავისი ქვეყანა;
 მერე ღმერთმა შეიბრალა მეფეცა
 და საქართველოს ხალხიცა: შაჰი
 მოჰკლეს შარაბლში ვითარცა ზე-
 მათ აღწერილი არის, მაშინ მეფე-
 მაცა და ერმაცა ღმერთს მალე შეს-
 წირეს და მოისვენეს.

1797 წელს, შემოდგომას, მეფე
 მრეკლე წავიდა თფილესა, იქ ავათ
 შეიქნა და გარდაიცვალა. იმისმა
 შვილმა ბიორგემ მიცვალებული თა-
 ხტრევენდში ჩაადებინა, ათი კაცი
 ცხენოსანი და თავიანთ ბიძის შვი-
 ლი გათათრებული *) ჰუსეინ ბეგი

გაყოლოდა და უბძანა, რომ წაიღონ
 ცხედარი მცხეთასა. თვითონ მაშინ-
 ვე მოიწვია არქიერი და უთხრა, რომ
 ხატი და ჯვარი მოასვენოს. თვითონ
 ნაც ხმალი შემოირტყა და დაიბარა
 თფილესში რაც თავადის შვილები
 იყვნენ, ამათ უთხრა: იცით თქვენა,
 რომ მაძიჩემისმემკვიდრე და უფროსი
 შვილი მე ვარ? მოდიით ამ ხატზედა
 და ჯვარზედა დაიფიცეთ ჩემს საქარ-
 თველოს მეფობაზედა და ვინც ამ
 ჩემს ბრძანებაზედ წინააღმდეგობასა
 იქს, მაშინ (ხელი დაიღო ხმალზედ)
 ამით თავს გაევაგდებინებო. მაშინ
 ზოგიერთსა თუმცა არ უნდოდა იმი-
 სი მეფობა, მაგრამ დროება არა ჰქონ-
 ვლის მეფეებსა სპარსეთის შაჰი არ ამტი-
 ცებდა მეფეთა, სანამ რჯულს არ გამოიც-
 ვლიდნენ და თავიანთ სახლობით მაშხალის
 სარწმუნოებას არ მიიღებდნენ. მხოლოდ
 მეფე მრეკლე მძევლათ იყო სპარსეთში
 დიდხანს; ის ვერ გაათათრეს, ისე დაამტი-
 ცეს მეფეთა. ან რაღაც დაწვარი ატბ.

*) „დროება“, № 10.

ლომატიური ოსტატობა და მოხერხება. მეროპა იმის ნახევარსაც ეწოდებოდა, რომელიც მონაწილეობდა მონაწილეობაში, რასაც აღწერ თხოვლობდა. მსმალეთი, ანუ უკეთ — მიტხანდფაშა კი მტკიცედ დგას თავის აღრინდელ სიტყვაზე.

ახლა საქმე იქამდინ იყო მიყვანილი, რომ მსმალეთს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, გამარჯვებული მშვიდობიანობა მოელოდა: მეროპა როგორც იყო უნდა მორიგებოდა მსმალეთს და მორიგება, უეჭველია, მსმალეთის სასარგებლო იქნებოდა და მეროპისათვის კი არადასაკვირვებელი.

აი ამისთანა დროს უეცრად ჩვენ მოგვდის დეპეშა, რომ მიტხანდფაშა, ხონთქრის ტახტიდან გადმოგდების განზრახვისათვის, დაიპირეს და ყოველ ღიბსება ჩამორთმეული ერთ უდაბნო კუნძულზე გაგზავნეს! მრგვარად შეიძლება ეს გარემოება ახსნას: იტალიაში...

ან რომელმამე მეროპის ელჩმა გადაუბირა, გადაამტერა ხონთქარი მიტხანდფაშას, რომელსაც ის აღარ უჯერებდა და მიტხანდფაშამ, რომელიც ამგვარ საქმეებს მიჩვეული იყო, განიზრახა სულთანის თავიდან მოშორება.

ან, შეიძლება, ეს მიტხანდფაშის განზრახვა სრულიად ტყუილი იყოს, იქნება ის აგრეთვე მეროპის რომელიმე ელჩმა მოუგონა და მიტხანდფაშას მოახვია თავზე, რადგან ძალიან უნდოდათ იმის თავიდან მოშორება და იმის გავლენის მოსპობა სულთანზე.

მაგრამ, როგორც უნდა იყოს, უეჭველია, რომ ამ მიტხანდფაშის დაცემას ძალიან დიდი და შესაძინეველი შინაშენლობა ექნება მსმალეთის ბედზე და განსაკუთრებით ახლანდელ მეროპის პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ბევრი წინასწარმეტყველება ითქმება იმაზე — თუ რა შედეგი ექნება ამ ყაზალ მიტხანდფაშის დაცემას. მაგრამ გარდაწყვეტილი და ნამდვილია თქმა კი რისამე მოუხერხებელია. ამის თქმა კი, მგონია, უეჭველად შეიძლება დღეს, რომ ახლა მიტხანდფაშის დაცემის შემდეგ, ომი ანობას კიდევ უფრო ნაკლებად უნდა მოველოდეთ, ვიდრემ დღემდინ მოველოდით, რადგან იმასავით ვერცერთი ახლანდელი მსმალეთის ეგვიპტის მთავარსახსებს ისე საქმეებს, რომ რომელსამე მეროპის სახელმწიფო...

ფოთს არ მისცეს უფლება და ღონისძიება თავის ქვეყნის ღირსებისა და ძალის დამცირებისა.

ს. მ.

საქართველო

დღიური

* * * მაცხარებული მუშაობა არის ამ ყაზალ მუთათის სტანციიდან ქალაქ მუთათისამდინ რკინის გზის შტოს გასაყვანად. ამბობენ, რომ ეს შტო მომავალი თებერვლის დამლევამდინ სრულიად დამზადებული უნდა იყოს.

* * * მრთს უკანასკნელს სხდომათაგანზე მუთათის მალაქის ჩივიას გადაუწყვეტია, უმაღლეს მთავრობას სთხოვონ, რომ მუთათის რკინის გზის შტო შეუერთონ იმ რკინის გზას, რომელიც ტყიბულიდან მუთათისამდინ უნდა გაიყვანონ.

* * * სომხურს გაზეთს „მელუ აიასტანში“ იწერებინან, რომ უფ. დოქტორის მჭუჩარიანცის ცოლი ოსმალეთში სომხებისათვის ფულებს აგროვებს მალაქში.

* * * მეორე სომხურს გაზეთს „მშაქში“ ახალქალაქიდან იწერებინან, რომ ამ უკანასკნელ ხანებში აქ სუყველაფერი საშინლად გაძვირდა; გირვანქა ნაეთი, კორკუსორდენტის სიტყვით, იქ ამ ყაზალ აბაზად ფასობს.

მაგიერად ჩვენს მალაქში ცოტადნად გაიზარდა სუყველაფერი; ნაეთი აქ ახლა გირვანქა 8-9 კაპეიკად იყიდება.

* * * ჩვენ მოგვივიდა ახლად დაბეჭდილი სომხურს ენაზე კომედია უ. ბაბრ. სუნდუკიანცისა — „პეპო“, რომელსაც ჩვენი სცენის მოყვარე საზოგადოება და აგრეთვე ჩვენი გაზეთის მკითხველებიც კარგათ უნდა იცნობდნენ.

ჩვენ შეეიტყეთ, რომ ეს ჩინებული კომედია ქართულს ენაზედაც იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა.

* * * მეორე ახალი ამბავი, რომელიც აგრეთვე ჩვენს მწიგნობრობას შეეხება: ამ დღეებში გამოვა ერთ პატარა წიგნათ ჩვენი ნიჭიერი მწერლის აკაკის ერთი პატარა ლეგენდა — „მოგია მეჩან გურე“, რომელიც ერთ შარშანწინდელ „დროების“ ნომერში იყო დაბეჭდილი, და ამასთანავე იმისივე რამდენიმე ლექსი.

* * * ამ თვის შედგენეს ჩვენს საზოგადოებრივ მთავრობაში სომხური წარმოდგენა იყო. წარმოდგინეს უფ. ბაბრ. სუნდუკიანცის კომედია „მედევე ერთი მსხვერპლი“. მთელი წარმოდგენა საზოგადოათ ჩინებულად იყო, მაგრამ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება უფ. მლიოზოვის თამაშობამ დაიმსახურა, რომელიც მართლა რომ ჩინებულად ასრულებდა მოხუცებული სომხის სარქისას როლს.

„დროშის“ კორესპონდენცია

მუთათისი, იანვრის 22-ს. იქნება დროთა ვითარებამ გადმოგტკორცნოს ვინმე ამ ჩვენს საზოგადოებაში თქვენდა უნებურად; ანა და იქნება შესცდეთ, აღრევე განზრახული ჰხარით მობძანდეთ აქ დასარჩინად რომლისამე კეთილის საქმისათვის ხელის მოსაკიდებელად? იმის შესახებ...

მთელს შემთხვევაში საჭიროა თქვენთვის იცოდეთ ჩვენი ზნე, ჩვენი ჩვეულება, რომ ბევრი უსამოვნობა არ შეგხვდესთ, ანუ საქმეში დაბრკოლება არ ნახათ. მე, ვითარცა თანამგრძობელი ყოვლის შემწეობის კაცისა, მზადა ვარ სახელმძღვანელო ცნობები მოგცეთ.

თუ ხართ უბრალო ვინმე, არა გამოჩენილი არც შთამომავლობით, არც მამულით, არც სწავლით, მაშინ ვერც მოსვლას გაიგებენ თქვენსას, ვერც წასვლას. როგორც გინდა იცხოვრე, რაც გინდა იმუშავე, რამდენიც გინდა იშრომე, — თითქმის არაფერს გიშლის კაცი. იქნება შავი მუშა იყო, იქნება მთელი კვირა ზურგსკენ აგწეხას შრომით და მუდამ შრომაში მყოფი, მოკლებული სხვა გართობას, სხვაანირ დროს გატარებას, სიმწრის გამო დათვად და სიმღერა წამოიწყოს, საზოგადო სიჩუმე დაიბრუნება და ზოლმციაში წაიყვანებენ... იმის შესახებ...

თუ ხართ შთამომავლობით არა მცირე ან ადგილი კარგი გიჭირავთ, ან განათლებული, ან ინტელექტუალი, რომ მყოფდით ცხოვრება გამოგადგესთ თქვენს ბურულს ქვეშ და პირდაპირ თქვენს განზრახულის საქმის ხელის მოკიდება, — არა, ეს არ გასგებს, ყველანი თქვენზედ ჩუჩიულს შექნიან, ეკვებს შემოიტანებენ, შეიძლება ქვეყნის დამაქცევარათაც ჩაგთავდონ; და ევლარ იხირობთ, თუ ეს არ გინდათ, ხშირათ გამოეწყეთ სავიზიტო.

დღეს კლუბში წადით, სადაც ბევრი არიან ჩვენი საზოგადოებიდან შეკრებულნი, იმათ დაქანავენ: წველ მასკარადში, ზეგ მაქეტაულზე, ზეგს მერე ბალში და ამასთანავე, როდესაც შეხვდენ იმერელს კაცს, ყოველთვის ეს უთხარი: „მკ, ბიორგის ვახლავარ! რასა იქთ, როგორ მშვიდობით ბძანდებით ოჯახითურთ?“ ზურგს უკან, რომ დაკლა გინდოდესთ მისი, კიდევ იცოდეს რომ მისი მტერი ხართ, ამისთანა თქვენი სიტყვები მას გულზე მალამოს მოსცხებენ, და ვინმე რომ შემოგხედოს თქვენ იმ მინუტში, გულითად მგებობდალ ჩაგთვლისთ.

მაგრამ ბალში წასვლა კი უფრო საინტერესოა; განსაკუთრებით იმ ბალში, რომელსაც შეიძლება დავარქვათ „დიდი ბალი“. რომელიც სახელ-განთქმულია, არათუ მუთათისში, მთელს იმერეთში, რომელიც მუდამ წელ ბეჯითად ჰსრულებდა, რომელზედაც ბევრს ამ დღისთვის მიღრათ მორაუულს ქალებს გული უმხიარულებდა, მათ ქმრებს გული უწუხებდა და ვაჭრებს ჯიბე უშუქებდა. ამ კმაყოფილების მიღება ღიდათ ჰღირს; ამ კმაყოფილებასთან ყველაფერი ჰკარგავს თავის მნიშვნელობას: დროც, სიმორცე, შეძლებაც, ვითომ კარგი მიმართულებაც; მთელი ღამე ერთს მინუტად ჰხდება, სამოცი და ოთხმოცი ვერსტი — ათად, სამასი მანეთი — ერთ კაბად, ათი თორმეტი წლის წინააღმდეგობა — მეგობრულ განწყობილებად, თუ მცა დარწმუნებით კი შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვეულება სჯულით უმტკიცესია, რომ ვინც გასერილა თავის წინაპართ საზოგადო ჩირქით და ვინც მთელი თავის სიცოცხლე ქვეყნის მტერობაში გაუტარებია, ის ბოლოს როდესაც ეღიროს თავის სურვილის დაგვირგვინებას, მოაქრულს გვირგვინს არ გასცვლის ეკლისაზე...

მრთი სიტყვით, თქვენ ჩვენებური ბალი თქვენებურათ არ გაიგათ. აქ ჩვენ ყველაფერს უმაღლეს პრინციპზე ვამყარებთ ხოლმე. იქნება გვეწონოს თქვენ, რომ ჩვენ არ ვიცითი ზოგიერთი შეცნებების ჰახრები, თუ რა როლი უნდა ჰქონდეს ქალებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში? შემსცდარი იქნებით, აქ ბალის მასპინძელს ყველას ესმის, რომ ქალს თავის მიმზიდველი ძალით უნდა ექმნეს გავლენა მამაკაცებზე დიდი საქმეების გაკეთებნ სურვილის აღსაძვრელად. ხელოვნურათაც...

დათ და არც ადგილი იყო, რომ მოელოდა; დაუმორჩილდნენ იმის ბრძანებასა და მივიდნენ ჯვარსა და სახარებას ემთხვეიენ და ხელიც მოაწერეს. მერე მეფე ბიორგი შეუდგა განკარგულებას: ჯარის მოგროვებასა, სამარხის მომზადებასა და სამღვდელთა მოწვევისა და მესამე დღეს წავიდნენ მცხეთასა; იქ დიდის ამბით დაასაფლავა თავისი მამა და ისევ დაბრუნდა თელავსა.

თელავში რომ იმყოფებოდა ბიორგი მეფე, მაშინ შარსადან არყუთას შეიღოს მთელი სიღამე ერთის ხურჯინით ბრინჯი წავლო ბიორგი მეფისათვის. დიდის მადლობით მიეღო და ვინც ყოფილიყვენ იმასთან კაცები, იმათთვის ეთქო: — იცით, ეს არღუთაშვილი შარსადან ისეთი ერთგულია ჩემი და ისე უყვარვარ, ვითარცა ერთს ვისმესთან ვაზრზიკებული იყო სო და არ იცის, თუ როგორ მასიამოვნოა. მერე ჩუმათ ეთქო მისთვის: შარსადან, ცოტა ფრთხილათ იყავი, ჩემი დედის-ნაცვალმა არ შეგიტყოს, რომ შენ ჩემთან დადინარო, თორემ შეგაწუხებო დედოფალი.

შამსა მრეკლე მეფისა, იმისმა შვილმა ბიორგიმ ჯარი შეკყარა და მივიდა შარსზედ ჩაუყლათ, ესე იგი ასაკლებათ შარსისა, ხანამ ესენი მივიდოდნენ, შარსის მთავარსა შარსბეგს შესმოდა ამათი მისგლა; გამოუსულყო თავის ჯარით და ქართველები გამოეკცია და არც გაემორომ შარსის სანჯახიდან საქონელი გამოარეკონ. შართვლის ჯარი რომ დაიმარცხა, გამოეკცეის დროს ბუმბრის მინდორში, (აღიქსანდროპოლის) რომ ნახირი დადიოდა ბუმბრეღებისა, მოიტაცეს ეს საქონელი და გამოარეკეს. მს რომ შეიტყო ბუმბრის სულთანმა, შეკყარა ორმოცამდის ცხენოსანი კაცი და გამოუდგა ქართველს ჯარსა, მაგრამ სანამ სულთანი მოვიდოდა, ქართველებმა ის მოტაცებულნი საქონელი...

გააქციეს ზოგმა აქეთ და ზოგმა იქით. მაშინ მეფის ძე ბიორგი დარჩა მარტოკა სამი-ოთხის კაცითა. ამ კაცებში შემოხსენებული შარსადან არღუთაშვილიც ყოფილა. მს რომ ნახა ბიორგიმ, სულთანი მოდიოდა და მოინდომა, რომ გაიქცეს, მაგრამ მხლებელთა არ ურჩიეს გაქცევა, უთხრეს: ბატონის შეილო, ნუ გაიქცევით, თორემ გამოგიდგებიან და იქნება მოგკლან კიდევ. დადექ, სანამ მოვიდნენ და მერე უთხარი, რომ ხომ ხედავთ, სულ გაიქცენ — და არავინ არ არის, რომ მე იმათ უბძანო თქვენი საქონელი დაგიბრუნონო, ჩამოდი თქალაქში მამაჩემთან და იქ სრულიად კმაყოფილებას მოგცემ-თქო. სულთანი მოვიდა და ყვირილით დაიწყო ლაპარაკი ბიორგისთან: „მს რა ამბავია, ერთი შეგვაცუბინეთ, თუ თქვენ ჩვენი პატრონები ხართო თუ მტრებიო, რომ ჩვენც ისე მოგეცეთო! ჩვენი საქონელი რათ...

მოიტაცეთო?“ ბიორგიმ უთხრა: ჩვენი კაცები ძალიან ცუდათ მოიქცნენო, მეც ამათი მადრიელი არა ვარო, მეც მარტო ვამიშვისო და საქონელი მოიტაცეს; ვინც ცხს საით გირეკსო, ჩამოდიოთ მთელი სიღამე მამა ჩემთანა და ვისაც რა მოუტაცნიაო, სულ მოგიგროვებთ და მოგცემთო. სულთანი დაბრუნდა, წავიდა ბუმბრსა.

შემდეგ ერთის კვირისა სულთანი ჩამოვიდა თავის კაცებითა მთელი სიღამე მამა ჩემთანა და ვისაც რა მოუტაცნიაო, სულ მოგიგროვებთ და მოგცემთო. სულთანი დაბრუნდა, წავიდა ბუმბრსა. შემდეგ ერთის კვირისა სულთანი ჩამოვიდა თავის კაცებითა მთელი სიღამე მამა ჩემთანა და ვისაც რა მოუტაცნიაო, სულ მოგიგროვებთ და მოგცემთო. სულთანი დაბრუნდა, წავიდა ბუმბრსა. (მაგრამ იქნება)

აწყოებს ამ საქმეს: მიიღებს რა სახე-
ში სხვა და სხვა ნაირ ესტეტიკურ
გრძობას თავის სტუმრებისას, იყო-
ლიებს ბევრნაირ ნაზ არსებას: ერთი,
ესტეტიკა, მაღალია, ლელწამ რანისა,
პირ-თხელი, თეთრი; მეორე დაბალი,
მსუქანი, ლოყა-წითელი, მესამე შავ-
გრიზანი და სხვ. წარმოადგინეთ
თქვენი თავი ამისთანა არსებათა
წრეში. რა გრძობაში იქნებით! რა
ნეტარებას იგრძობთ! შორს გავი-
ტაცებთ ჰაზრი, სულ სხვა ქვეყანა-
ში გადადინართ. რამდენადაც უფრო
გაველენინა ხართ, იმდენათ უფრო
მაღალი და ნეტარი იქნება თქვენი
მდგომარეობა. შევლაფერს იგივეებთ
ამ მდგომარეობაში. ნამდვილს ცხო-
ვრებას კვლი აღარ დაუტოვებია
თქვენს მესხიერებაში. სახეები სხვა
ნაირად ვიხსენებთ. ამ მდგომარე-
ობაში მზათა ხართ შავი თეთრათ
აქციოთ, თეთრი შავად, არა მხედარი
მხედრათ გახდეთ, აღუზრდელი აღ-
მზრდელად, უსწავლელი მასწავლე-
ბლათ... სხვა სიამოვნებას ბალისას
აღარ მოვიხსენებ—ეს თქვენც გე-
ლოდინებათ.

იქნება თქვენ მითხრათ, რომ ყვე-
ლა ესენი თქვენ დროს წაგართმევთ
და საქმეს ვერ გააკეთებთ. თუ თქვენ
ეს საქმეთ არ მიგაჩნიათ, მე გეტყ-
ვით, რომ არ ვარგა უამისობა; უა-
მისოთ დაბრკოლებას ნახავთ, ბევრს
ფიქრს მიჰყოფთ ხელს, შეიძლება
ქკუილამ შესცდეთ და სატუსალოში
ამოჰყოთ თავი. თქვენი არ ვიცი,
მე კი ვამიგონია, რომ გადარეული
დაეტუსალებიოსთ, მისთვის რომ ის
გუბერნიის სამმართველოში არ გა-
მოცხადდა, რომ მისი კუის სიმრ-
თელე შემოაწმებიათ. მხოლოდ
იცოცხლე, მკითხველო, და სანახავი
ბევრი გვინახავს და ბევრს ვნახავთ
კიდე.

იქნება იცოდეთ, რანაირად შეან-
ძრია ბევრი ომის მოლოდინმა. თა-
გვეს ანგელოზები დეფთხოთ და
ბევრი გაზურფეტილი ჯიბე დაიკრა.
მისაც არაფერი ენაღვლება და ბე-
რი ეტკბილება, ვისთვისაც სულ
ერთია, რანაირი გლახა ან კარგი
მდგომარეობაც უნდა მოიტანოს ჩვე-
ნის ცხოვრებისთვის ომიანობამ, ან
უომიანობამ, ვინც ამ საქმეებს ისე
უყურებს, როგორც ერთი გლენი,
რომელმანც რომ დაინახა ახლად
მოკრეფილი ჩვენი მხედრები, სიმ-
ლერით გამვლელნი ბაზარში, პირ-
დაღებულნი შესჩერებოდა მათ და
ბოლოს თავის ახანავს უთხრა სი-
ცილით: „ერთს ძალიან ქეიფს კი
გასწევინ ვსენი!“

მისაც ამ ნაირი შეხედულობა აქვს,
ისინი ძალიან ამავეში არიან. უკე-
თესნი მეფოკუსები ღმერთმა შეარ-
ცხენოს. წარმოადგინეთ, ვისაც აქამ-
დის უღვაშებ და წვერებ გათეთრე-
ბულებს ეყურებდნენ, ერთს მშვე-
ნიერს დილას, ეხედავ მათ ნახშირი-
ვით შავ წვე—რულვაშიანებს; ვინც,
სანამდის მყუდროება, შემთხვევა ცო-
ტაა. მიმალულა თავის საროში და
ხმას არ გვაგონებს, ის როდესაც სა-
ზოგადო საქმეების გამო ამორჩევი
მოახლოვდებიან ან ომიანობა მო-
სალოდნელია, როგორც კატები და-
მე, გამოდიან სანადიროთ, რომ რა
არის გემრიელ ლუქმას ჰსტაცოს ხე-
ლი. მოდის ქალაქში, იკიმება, ხში-
რად გაისერინ-გამოისერინებს, ჰზო-
მავს ქუჩებს თავის განიერის ბეჭებით.
ამისთანა დროს ამ ნაირნი კაცები
ყველასთან თავს ჰმართლულობენ,
ყველას ვითომ რჩევას ჰკითხავენ, ვი-
სიც ცოტადნათ ჰრცხვენიათ, რომ
თავის ეგოისტურს მოქმედებას, თავის
გატალახიანებულს ლტოლვილებას

კარგი მიზანი გარს შემოახვიონ. მკ,
რა ვქნათ! „ვის შერჩენია სოფელი,
მამაძალი და ოსტია?“
მანც უნდა ვყო

რუსეთი

ზაზეთს „ხმაში“ დაბეჭდილია, რომ
სამმართველო სენატმა ყოველი ზო-
მა მიიღო, რომ საქმე იმ დამნაშავეების
შესახებ, რომელთაც 6 დეკემბერს უ-
წესოება მოახდინეს შაზანის სობოროს
წინ,—არ გარდიდვას, არამედ უთუოდ
18 იანვარს გარდაწყდეს.—ამ დღის-
თვის ბილეთებს არიგებდა საზოგა-
დოებისთვის პირველ-მხდომარე სე-
ნატორი პეტერსი და ახოს დღეს
ყველა ბილეთები გაიკა.
— ზაზეთს „რუსის ქვეყანაში“
დაბეჭდილია, რომ ხივაში დიდი მოძ-
რობაა, შეუერთდეს სრულიად რუ-
სეთის სახელმწიფოს. ხივის ხანი თხო-
ულობს, რომ მისი სამფლობელო
რუსეთის იმპერატორმა თავის ქვე-
შევრდომობის ქვეშ მიიღოს.

უსსო ქვეყნები

ოსმალეთი და სერბია
სტამბოლის პონჭერენციის და-
ნიშნულება, როგორც მოგვხსენებთ,
ის იყო, რომ ოსმალეთსა და იმი-
საგან დამოკიდებულ სლავიანურ ხალ-
ხებს შუა უკეთესი წყობილობა ჩა-
მოეგდოთ და ამნაირად აჯანყებული
პროვინციების კანონიერი მოთხო-
ვნილება დაეკმაყოფილებინათ.

მს თავის დანიშნულება და მიზანი
პონჭერენციამ ვერ შეასრულა. ახ-
ლა მეორე საშუალებას მიმართეს:
ოსმალეთმა პირ-და-პირ სერბიასთან
და ჩერნოგორიასთან დაიწყო მორი-
გებაზე მოლაპარაკება.
მს მოლაპარაკება, როგორც იწე-
რებიან, მენაში დაწყებულია; ოსმა-
ლეთის მხრით ამ საგანზე მოლაპა-
რაკება ავსტრიის ოსმალთელ ელჩს
ალექსანდრე-ფაშას ჰქონია მინდობილი
და სერბიის მხრით ტუკიჩს. მაგრამ,
სანამ სერბია ოსმალეთთან დაიწყებ-
და მოლაპარაკებას, შეროპის სახელ-
მწიფოებისათვის და განსაკუთრებით
რუსეთისათვის შეუტყობინებია ეს
ამბავი და უკითხავს: თქვენ წინააღ-
მდეგ ხო არ იქნებით, რომ ჩვენ პირ-
და-პირ ოსმალეთთან დაიწყეთ მო-
ლაპარაკება ომიანობის შეწყვეტაზე
და მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე-
დაო. ამბობენ, რომ შეროპის ყვე-
ლა სახელმწიფოს ერთხმად შემოუ-
თელიათ სერბიისათვის, რომ ამ საქ-
მეში საწინააღმდეგო ჩვენ არა გვაქვს
რაო.

მხოლოდ ამ პასუხის მიღების შემ-
დეგ, სერბიის მთავარს მილანს შეუთ-
ვლია თავის აგენტის ტუკიჩისათვის,
რომ ალექსანდრე-ფაშა ენახა მენაში და
მოლაპარაკება დაეწყო.
ამბობენ, ოსმალეთი შემდეგ პი-
რობებზე თანახმა იყავო:
ჩერნოგორიას დაუთმობს ზღვის
ნაპირა მხარას—სეტორინს.
სერბიას კი ქალაქს დიდ-ზეორნიკს;
მაგრამ თავის მხრით ოსმალეთი
თხოულობს სერბიისაგან, რომ იმან
შეამციროს თავის მუდმივი ჯარის
რიცხვი და ამას გარდა გააუქმოს რამ-
დენიმე ციხე, რომელიც ოსმალე-
თის სამხლავარზე სერბიას ეკუთვნის.
ბუშინწინ მოსული დეპეშა გვატყო-
ბინებს, რომ ამ უკანასკნელ ორ
მუხლზე სერბია არ დათანხმდა და
ამის გამო ოსმალეთსა და იმის შუა
მორიგებაზე ლაპარაკი მენაში უკვე
შესწყდაო.

— ძანდის კუნძულზე, როგორც
უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან,
ხალხს ხელ-ახლად დაუწყია ლეღვა
და აშკარად აცხადებენ თურმე ოს-
მალეთის მმართველობაზე უკმაყო-
ფილებას.

— მართი მუხლი ახლად გამო-
ცემულის ოსმალეთის კონსტიტუ-
ციისა ახლავე შესულაძალაშა; ჩვენ
ვამბობთ მე-17 მუხლზე, რომლის
ძალითაც ოსმალეთის ყველა ქვეშე-
რდამნი, რა ნაციისა და სარწმუნო-
ებისაც უნდა იყვნენ, კანონის წი-
ნაშე თანასწორნი არიან, ე. ი. თა-
ნასწორი უფლება აქვთ და თანას-
წორი მოვალეობა. ამ მუხლის სა-
ფუძვლით, ოსმალეთის სახალხო
განათლების მინისტრს გამოუცხადე-
ბია, რომ დღეის შემდეგ ოსმალეთის
სამხედრო სკოლებში, მარტო მაჰ-
მადიანნი კი არა, ქრისტიანებიც მი-
იღებიან და ამის გამო მსურველთ
შეუძლიანთ საცა რიგია თხოვნა
შეიტანონ და თავიანთი შეიღები
აღზარდონ ხსენებულ სკოლებშიო.

საბაასო

სამაგალითო.
პედალოლიური გამოსარჩლება
(შესახებ ბაასისა ი. მოგებაზეილს
„ღედა მნაზედ“.)
„შენს თავს რომ ვერას არგებარ,
როგორ გინდა სხვებს უშვილო!“
პ. წერეთელი.

„ღროებაში“ იყო ცოტადენი
ბაასი ახლად გამოსულ მოგებაზეი-
ლის წიგნზედ. თუმცა არ შემიძლია
ახლა შევამოწმო ეს ბაასი თვით წი-
გნის გასინჯვით, რადგანაც, საუბე-
ღუროთ, ჯერ ამ წიგნის მიღება და
შემდენა ვერ შევიძელ, მაგრამ ვალდ-
ებულად ვხდი თავს ცოტა ცრცლად
შევეხო ზოგიერთ ამ ბაასში დაძ-
რულ კითხვებს, რომ ბოლოს ამა-
გბსთან მობრუნება საჭირო აღარ
იყოს, რადგანაც, ამასთანვე, აქ ცოტად
არის ჩემი ამასწინათ ნათქვამი ერთი
აზრი ბრუდდება და კბილდება. მინდა
კიდე შევეხო ამ კითხვებს მიტომ,
რომ ამათ ჩვენი შეიღებისთვის და
ჩვენი საზოგადოებისთვის უპირველ-
ესი მნიშვნელობა აქვს, და მასწავ-
ლებლებში, როგორც თვით საზო-
გადოებაშიაც, ამებზედ ცხადი წარ-
მოდგენა არა აქვს, თორემ თვით მა-
რჯანიძის სტატია თავის სისუსტით
მოხსენებათაც არ ღირდა.

შ. მარჯანიძე „ღედა მისი“ რეცენ-
ზიას უწერავს იმ მიზანს და სივრცეს,
რაც ავტორს სახეში სრულებითაც არა
ჰქონია და რაზედაც მან თავშივე
მოიხსენა. შევლა საგნის გაჩხრეკას
აქვს თავისი მიზანი და, თანხმად
ამისი, ჯეროვანი სამხლავარი და სიე-
რცე. რეცენზენტი „გაკვრით თვალს
აეღებდა“ მოხსენებულ წიგნს და
„ორიოდე შეცთომილებას“ უჩვენე-
ბდა, და სრულებითაც არ ფიქრობ-
და, რომ გაცნო წიგნსთან საფუძე-
ლიანთ საზოგადოება და ამ რიგათ
წიგნისთვის შეეკრა ან გაეხსნა გზა.
ამას აქვე ახლო მარჯანიძე თვითონ-
ვე ამბობს და ამასთან თამამად გვარ-
წმუნებს, რომ ის რეცენზენტს „კრინ-
ტში ჩაუდგებოდა“ და, რასაკვირელოა,
უეჭველად სძლევდა; მას რომ ვრცე-
ლი გარჩევა დაეწერა.
მაგრამ, საუბედუროთ, თვით ამ
ორიოდე შენიშვნასაც ვერ მოერიგა
თამამი კრიტიკი, და, ამის ნაცვლად,
ბევრი რამ საინტერესო და დონკი-
ხოტური სიბრძნე გამოგვიჩვენა. ამ
მოსაწყენ სიბრძნეებზედ მსურს შენ-

თან ბაასი, მკითხველო, და გთხოვ,
რომ შეზოკრიბო შენე ქველბე და
აზრები, ვამილო გულთსუფრე და მოთუ-
მინებით მოამისმინო ბოლომდის.

ჯერ მაკვირებს მე ის, რომ მარ-
ჯანიძე გვარწმუნებს, ვითომ ქვემოთ
მოყვანილი „დიდაქტიკის ძირეული
კანონი“ იყოს რეცენზენტისაგან ასე
გაქიანურებული, დაქუცმაცებული
(?), თავ შემაბეზრებელი, როდესაც
ეს კანონი გამოითქმებოდა უფრო
ცოცხლად, უფრო მკითხველებისთ-
ვის გასაგებად და საინტერესოდ, უფ-
რო ღრმატიულ-კანონიერად—აი
ასრე: „უნდა დაეწყებდეთ (რასაც?)
მოსწავლესათვის ცნობილისაგან (?!),
მასთან უმახლოებლისაგან, ნიეთიე-
რისაგან, მარტივისაგან, უადვილესი-
საგან და უნდა ხარისხელოდ (?!)
გადავიდოდეთ უცნობთან, მოშორე-
ბულოთან, გადაღებულთან (?!), უფ-
რო რთულთან და ძნელთან, ყოველ
შემთხვევაში ცოტ-ცოტა ახალი და
ახალი სულ მივამიჯნეთ (?!) იმი-
სადმი, რაც შეგონებულია (?) ყმაწ-
ვილებიაგან“ (ენ შეუკონებია ყმაწ-
ვილებს?).

ახლა შენ ეჩიბინე ამისთანა ახი-
რებულ კაცებს, რომ ამ გვარ ქარ-
თული ლექსით წერა არამც თუ ამ
ადგილისა, — მთელი სტატიისა, ამ
გვარად ბაასი ქართული გაზეთის
მკითხველებთან—არავითარ გონები-
სთვის სიძნელეს და ცოდნას არ
თხოულობს; აიღე, ვაჟო, ორი რუ-
სული სახელმძღვანელო, გაიშლე
წინ, გათმოთარგმნე იქილამ აზრები
გულსაკლავ ენით და გააპრეღე სტა-
ტია. თუკი ამ დიდაქტიურ კანონს
ამოკლებდით, ბარე შეამოკლებდით,
რადგანაც შეიძლება შემოკლება. აი
ასე უნდა დაეწერა რეცენზენტს, და
არა „თავისებურად“, გვიბრძანებს
თამამი კრიტიკი. ღმერთსამც ნუ ეთ-
ქა!

რამდენათ დიდათ გაირჩევა ზემოთ-
მოყვანილისაგან რეცენზენტის მხრით
ფარდო აზრის გამოხატვა, რამდე-
ნად თავისუფლად და ცოცხლად არის
აზრი გამოთქმული აქ, ამას თვით
მკითხველი იხილავს, რომ შეადაროს
ზემოთ ნახსენებ ადგილს.

ზარდა ამისა, თვითონ შინაარსით,
აზრით, რეცენზენტისაგან გახსნილი
კანონი ცოტათ კიდეც ირჩევა: ეს
უფრო საზოგადოთ ხატავს აზრს.
ზემოთ მოყვანილ კანონს უფრო
სახეში აქვს ობიექტიური, გარეგანი
მასალა, რასაც ჩვენ ყმაწვილის წინ
ვაწყობთ და მის გონების საკვება-
ვად და საფარჯიშოდ გვსურს. რეცენ-
ზენტისაგან ნათქვამი ამასთან შეი-
ცავს სუბიექტიურ, შინაგან მასალა-
საც, მის სულიერ ბუნებას და მას,
რასაც აღმზრდელი მაში პოებს. ამი-
სი გარჩევა, რასაკვირელოა, თამამი
კრიტიკისთვის გაუგებარია.

მე მეტად ვეჭვნიულობ, რომ უც-
ნაური რეცენზენტის ნათქვამმა აზრმა
თავი ვისმე შეაბეზროს, ეს ვისმე მო-
სწყინდეს; მაგრამ ამაში კი დარწმუ-
ნებული ვარ, რომ მარჯანიძისაგან
ძირეული კანონის გამოხატვა და გად-
მოთარგმნა ბევრს თავს შეაბეზრებს.
უფრო მეტს ვიტყვი: მკითხველები
რეცენზენტს გაქიანურებაში კი არ
დასძრახავენ, ცოტა უკმაყოფილონიც
დარჩებიან, რომ მან ეს და სხვა პე-
დალოლიური პრინციპები საქმართ
და უფრო ვრცლათ არ გახსნა. ამ
ნაირ გახსნას ცოცხლად და გასაგებ
ენით პედალოლიური პრინციპებისა,
რომლების ცოდნა ყოველი კაცის-
თვის სასარგებლოა, უფრო დიდი
მნიშვნელობა აქვს მომეტებულ გა-

ხეთის მკითხველთათვის, მინამ სპეციალურად, ასო-ასოდ და სტატია-სტატიად გარჩეულ სტატიას, რაც უფრო მასწავლებლებისათვის საჭიროა.

ამის შემდეგ მარჯანიძე, რეცენზენტის წინააღმდეგ, იცავს „ღელა ენას“ და მის ავტორს მისგან, რომ ამათ სრულებითაც არ დაურღვევია ეს დიდაქტიური კანონი. მე აქ „ღელა ენის“ შესახებ არაფერის თქმა არ შემიძლიან, მე არ ვამბობ, თუ რა სიმართლე და საფუძველი აქვს რეცენზენტს, რა ნაირი სიძლიერე აქვს ამ ორ ნაჩვენებს ფაქტს აზრის დასამტკიცებლად. შეიქრობ, რომ თუნდა ამ ნაჩვენებ ფაქტებს უფრო მოამტკებელი მნიშვნელობაც ჰქონდეს, ვიდრე აქვს, აქედამ ამ ნაირი შედეგის გამოყვანა მეტად აჩქარებული და უსაფუძველია. მაგრამ, როგორც რეცენზენტის სიტყვებიდან სჩანს, მას ამის დასამტკიცებელი მთელი წიგნი აქვს და მთელი სტატიები.

მაგრამ „ღელა ენის“ დამტკიცებს, რომელსაც ჰსურს რეცენზენტის აზრი გამატყუროს, ამ ორივე ფაქტისთვის ფეხიც ვერ უტყვია, თავის მხრით სხვა საბუთი არაფერი მოაქვს, მაშასადამე, აზრიც ვერ გაუმტყუენებია. მითი, უფრო ძლიერი ამ ფაქტებისაგან, რომელიც შეეხება ანბანის შესწავლას, თამამ კრიტიკა ჩუმათ, ყურს იქით გააპარა, ზედ გადააბიჯა, ვითომ და გერა ხედავს; მეორის შესახებ გეშა იმ ნაირ მსჯელობაში, რომელმაც ის შეათრია იმისთანა უღრან ტყეში, საიდანაც მას არ შეუძლიან გამოსვლა და გზის გაგება, თუ სხვა არაინ შეეწია; ფაქტი კი თავის ალაგზე და თავის ზომზედ დარჩა. ეს მსჯელობა კრიტიკის ისეთი შესანიშნავია როგორც წარმომადგენლობით, ისეც ვაგებობით, რომ არ შემოიძლიან ამაზედ არ დედგე და არ წარუდგინო მკითხველს თავისი ხორციით და ძვლებით, გატიტლებული და გაწმენდილი. აქ თამამი კრიტიკისი ფილოსოფიობა ა) ყურადღების აკტიურ და პასიურ სახეზედ, ბ) სხოლასტიურ, ინგლისურ და ნემენსურ პედალოლებზედ, გ) მასწავლებლის ვალზედ სტატიების ახსნაში და დ) ზღაპრების მნიშვნელობაზედ ბავშვისთვის. ეს მუხლები, გარდა ერთისა, მარჯანიძეს პირ-და-პირ გადმოუთარგმნია უშინსკის წიგნიდან და ამეებისაგან უნებროთ შეუკერია თავისი გამტყუენება. როგორც ესმის მას ეს მუხლები და როგორ გადმოუღია წიგნიდან, ყველა ამას თავთავის ალაგზედ უჩვენებ. ახლა მინდა ორი-

დე შენიშვნა წარმოვადგინო იმაზედ, თუ რა არეულ-დარეულობას ახდენს პედალოლებში ზოგიერთი საზოგადო პრინციპებისა და ზემოთ მოყვანილ მუხლების გაუგებლობა და გამოურკვევლობა.

მას შემდეგ რაც პედალოლია გახდა ნაწილათ იმ წრისა მეცნიერებათა, რომლებსაც აქვს ახლო სახეში კაცის ყოველგვარი მოვლინება და დამოკიდებულობა და რასაც ანტროპოლოგიას ეძახიან, ყველა, რაც შეეხება კაცის გზარდას, გახსნას და განსწავლას, იმინჯება საზოგადოთ ამ წრის დამოკიდებლობის თანხმად, და კერძო-უფრო ახლო ფსიხოლოგიისა. ამიტომ უმთავრესი პრინციპები პედალოლისა არიან თანხმანი იმ სჯულებთან, რომლებს ქვეშ კაცის ბუნება იხსნება. მაგრამ თვით ეს ბუნება, სულიერი ძალები ჯერ მტკიცეთ გამოკვლეულნი არ არიან; თუმცა ინგლისის ახალი ფსიხოლოლია ქვეშაირიტებას ახლო მოუვიდა, მაგრამ თავისი სიხლისა გამოც ვერ საკმარათ გავრცელებული არ არის; ბევრ ჩინებულ პედალოლებში უწინდელი სწავლა ძრიელ გამჯდარია, ასე რომ მათ არ შეუძლიან მისგან განთავისუფლება. სხვა-და-სხვა გვარ შეხედულებისაგან კაცის სულიერ ძალებზედ წარმოდგება სხვა და სხვა საშუალებები აღზრდაშია.

ამიტომ ის აზრები, რომლებსაც ზემოთი მუხლები შეიცავენ, წარმოდგენენ იმნაირ რამეებს, რომლებზედაც ყველას შეუძლიან შეჯდეს და საითაც უნდა, იქით გაისვროს.

მ. პურდელაშვილი (მაგტკებელი)

განსხვავებანი

თფილისის თავედ - ახნაურთა საადგილ-გამაშრო ბანკის მმართველობა სთხოვს იმ პირთა, რომელთაც ზემოხსენებულს ბანკს მიანდვეს თავიანთი გირაოს ფურტლების გაყიდვა, მობაძანდნენ ბანკში საბოლოოდ ანგარიშის გასაწმენდლათ.

წაკოტი

თქმული ღვით გვირგვინისაგან ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მალაზიებში.

კავკასიის საგაბიო ინსტიტუტი მოზიარე ქალები მიიღებენ ყოველთვის დღე და ღამე, ფსი დღეში 50 კაპ., დარბები უფასოთ მიიღებენ. ცალკე ოთახების ქირა თვეში 30-50 მანეთამდის არის. მიღება ავთამყოფი ქალებისა და ყმაწვილების. ქალის ავთამყოფობისათვის: შოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათი-დამ 11 მინ-დოქტორი ანანოვი. მთხზაბათობითა და შაბათობით 12 საათი-დამ 1-მინ-დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მინ-დოქტორი ანანოვი. საყმაწვილო ავთამყოფობის შესახებ შუთშაბათობით 11 საათი-დამ 12-მინ და კვირობით 10-დამ 11-მინ-დოქტორი უშაკოვი. შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის. ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალბო ავთამყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავთამყოფთა უნდა აძლიონ დღეში-50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში-1 მან.

საუკეთესო საშუალება

თაგეების, ვირ-თაგეებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად რის ბუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

იმპერატორის სასახლის მდივარად რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყების სასახლეებისაგან.



1872 წლის მოსკოვის პოლიტენიკურ გამოუენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი

ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე მენის გამოუენაზე 1873 წელსა.

ზამოგონი პასუხს აგებს. ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.



წამალი თაგეებისა, ვირთაგეებისა და თხუნველისათვის-1 მ. და 50 კ. პარაზოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭელისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. პედლის-ტილის წამალი-1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბეგრებული ხორკის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა-60 კაპ.



უშთავრისი დეპოარის თფილისში, დეორკოვის ქუჩაზე, პრჭუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მალაზიაში; მლა დიკავაზში, სეგალთან, პლექსანდროვისკის პარაპეტზე, ლებედვის სახლში; სტავროპოლში-მურჩინკასთან. ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფაჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე ისყიდება თმისსაღებავი. 54-39

რბ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ცაცხლის გეგმა	ფოფტა	ბირჟა	მან. კაპ.	გაზანდა	მან. კაპ.	
თფილისი	9 36	4 54			ა) შოთილამ მიდის:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 12 იანვარს.		თფილისი, 27 იანვარს		
მცხეთა			68	38	მდგისკენ-ხუთშაბათს დილით.	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	ქრისტიანოპოლი, 12 იანვარს.		პური შორავლის ფთ.	1 35	
ბორი	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს-კვირობით, დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა, ზუღდ.	ქრისტიანოპოლი, 12 იანვარს.		ქური ფუთი.	1 -	
ხაშური	2 -	11 10	3 92	2 18	ბ) მდგისკენ:	ოთხშ., მხურეთს - პარასკ. და	ლონდონში 3 1/2 პენსი.	84	ბაბა მრევისა, ფუთი.	5 60	
ბეკათუბანი			4 42	2 46	შოთისკენ-ხუთშაბ., ნახად. შსათ.	ორშაბ. ბაკოს - ორშ. სამშაუ. და	პარიჟში 3 0 3/2 ნანტიმი.	89	შაპერისა, ფუთი.	6 20	
ქვირილა			5 81	3 23	სტამბოლს-ოთხშაბათს, შუადღებზე	შაბ. ბახეთს - სამშ. და შაბ.	სკონტინტის (სარგებლისფასი)	7 1/2	ბაპენტილი ბაბა ფთ.	7 -	
მუთაისი	8 23		6 75	3 75	შოთილამ:	ბ) შოთაისი დამ:	ბანკის ბილეთი 5%	93 25	მატული თუშური ფთ.	6 70	
სამტრედია			7 73	4 29	I II III	თფილისისა და შოთისკენ-ყო-	მოგვიბანი (პირველისფასი)	179 -	თრაქიისა ფთ.	4 -	
პა-სენაკი			8 57	4 76	სახუმადი 4 " 3 " 1 "	ველ დღე, კვირას გარდა, მხურ-	მოგვიბანი (მეორე სესხი)	173 50	პბრეშუმი ნუხური სტ.	3 -	
შოთი	11 44		9 75	5 42	ქერამდი 20 50 15 50 5 "	გეთს-ორშ. და პარასკ. ზუღდიდს	ბირაოს ფურტლები:	83 -	ქონი, ფუთი.	4 -	
					ტაგანოვ. 34 " 27 " 8 60	ოთხშაბ.	თფილ. სააზნ. ბანკისა.	79 75	ქონის სათელი ფუთი.	5 -	
					მდგისკენ 38 " 30 " 9 60	გ) ბორი დამ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	81 50	სტეარინის სათელი, ფ.	11 60	
						ყოველგან ყოველ დღე, კვირას	მოსკოვის (5%)		ხორცი ძროხისა, ლიტ.	65 -	
						გარდა.	აქციები:		ცხვრისა, ლიტრა.	72 -	
						დ) შოთი დამ:	მდგის ხაფორა ბანკის	250 -	სპირტი, ველო.	8 -	
						ყოველგან ყოველ დღე, კვი-	შოთი-თფილ. რკინ. გზის		შაქარი, ბოლოც. ფუთი.	7 80	
						რას გარდა.	შავილვის ცეცხ. გეგების	470 -	ფხვნილი ფუთი.	5 40	
							წიგნის-გაგზენა რუსეთში	206 -	ქაუა გრვალი, ფუთი.	20 -	
							და სამზღვარ გარეთ:	პირვ. საზღვევ. საზოგ.	720 50	ხეთი ქუთჯუთისა ფთ.	5 30
							ლია წიგნის	პეტერბ. საზღვევ. საზ.	240 50	მქოლ 1/2 იმპერიალი.	7 -
							დაბეჭდილის (სამი მისხალი)	მოსკოვის საზღვევ. საზ.	269 -		